

შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 2025 წლის ----- ოქმი # -----

სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2025-2032 წლები

I შესავალი

სსიპ ქალაქ ბათუმის #5 საჯარო სკოლის გრძელვადიანი (2025-2032 წწ) სტრატეგიული გეგმა მოიცავს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებსა და მიზნებს. სტრატეგია განსაზღვრავს თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზითა და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების, კონკურენტებისა და SWOT (სიძლიერე, სისუსტე, შესაძლებლობები და საფრთხე) ანალიზს. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია 2025-2032 წლების სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და განვითარების, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგული კამპანიის სტრატეგია, სადაც იდენტიფიცირებულია ყველა საკომუნიკაციო არხი შესაბამისი სეგმენტის მიხედვით. აგრეთვე, განხილულია მარკეტინგული და პიარ ინსტრუმენტების გამოყენების რელევანტურობა და მიზნობრიობა. სტრატეგიული მიზნების განხორციელების ვადის პარალელურად, მოცემულია კრიტერიუმები, რომლებიც ნათლად წარმოაჩენს დასახული მიზნების წარმატებით ან წარუმატებლად განხორციელებას. სტრატეგიული გეგმის სწორად განხორციელება ხელს უწყობს სკოლის წარმატებულ საქმიანობას, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე.

სკოლა ასრულებს კანონით განსაზღვრულ ფუნქციებს და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ახორციელებს ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას; ახორციელებს შესაბამის საქმიანობას. სკოლა არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. სსიპ ქალაქ ბათუმის #5 საჯარო სკოლა, ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით, დაფუძნდა.

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში და სკოლის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად სკოლა:

- ქმნის პირობებს ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის;
- ხელს უწყობს მოზარდის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარებას, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფას, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, მოსწავლეთა დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებას, კულტურულ ფასეულობათა პატივისცემას, მოსწავლის მიერ ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე საკუთარი უფლებამოვალეობების გაცნობიერებას;
- საჯარო სკოლა მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;
- საჯარო სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ არის სახიფათო ჯანმრთელობისათვის და არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
- საჯარო სკოლა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა- ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

- სახელმწიფო უზრუნველყოფს სრული ზოგადი განათლების მიღებას. მოსწავლის განათლების სახელმწიფო დაფინანსება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გრძელდება 12 წლის განმავლობაში;
- დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად “საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად, სკოლას საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა შესაბამისი ქონება;
- სკოლა უფლებამოსილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით განახორციელოს შემდეგი ქმედებები;
 - ა) უძრავი ქონების შექმნა, გასხვისება და დატვირთვა;
 - ბ) სესხის აღება;
 - გ) თავდებობა;
 - დ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;
 - ე) სხვა გადაწყვეტილებები სკოლის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

• „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ ქმედებათა გასახორციელებლად აუცილებელია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანხმობა. სტრატეგიული განვითარების გეგმა სსიპ ქალაქ თბილისი #5 საჯარო სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უარი ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ქმედებების გახორციელებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში;

• ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულება აღემატება სკოლის ბიუჯეტის 5%, აუცილებელია სამეურვეო საბჭოს თანხმობა.

სკოლას უფლება არ აქვს მისთვის გადაცემული სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონება სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქიროს, იჯაროს, თხოვების ფორმით გადასცეს), დააგირაოს იპოთეკით ან სხვაგვარად დატვირთოს საქართველოს ეკონომიკური სამინისტროს ან მის ტერიტორიულ ორგანოსთან (მესაკუთრესთან) შეუთანხმებლად;

- სკოლის მიმდინარე ხარჯების დაფინანსება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელმწიფოს მიერ ვაუჩერის გაცემით;
- სკოლის კაპიტალურ ხარჯების ანაზღაურება ხდება სახელმწიფო ან/და ადგილობრივი ბიუჯეტიდან.
- სკოლას უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, მიიღოს შემოსავალი ეკონომიკური საქმიანობით, თუ ეს საქმიანობა არ ახდენს მავნე ზეგავლენას მოსწავლეთა ფიზიკურ და ზნეობრივ განვითარებაზე. მიღებული სახსრები კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ სკოლის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას;
- სკოლის ყველა შემოსავალი და ხარჯი აისახება მის ბიუჯეტში;
- სკოლა ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს მემშვეობით;
- დირექტორი თანხმობს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტის მიხედვით;

- დირექტორი უფლებამოსილია გადაუდებელი აუცილებლობისას, სამეურვეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრების არა უმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ამ ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს მასწავლებელთა ხელფასების შემცირება. სამეურვეო საბჭოს მიერ დირექტორის მიერ წარდგენილი სკოლის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში სკოლა უფლებამოსილია გასწიოს ხარჯები კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- სკოლის წლიურ ბალანსს ამოწმებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული დამოუკიდებელი აუდიტორი;
- სკოლის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, კანონით გათვალისწინებული წესით. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს სკოლის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის, და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;
- მაკონტროლებელ ორგანოს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია. სკოლამ მაკონტროლებელ ორგანოს მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა წარუდგინოს არა უგვიანეს 15 დღის ვადაში. სკოლის სტრუქტურა განისაზღვრება სკოლის წესდებით რომელსაც ბრძანებით ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი. სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ირჩევს სკოლის სამეურვეო საბჭო 6 წლის ვადით. ერთი და იგივე პირის დირექტორად ზედიზედ არჩევა შეიძლება მხოლოდ ორი ვადით. სკოლის დირექტორი არხებიდან კვირის ვადაში ნიშნავს დირექტორის მოადგილეებს, მათ შორის, დირექტორის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და ამ მონაცემებს აგზავნის სარეგისტრაციოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. სკოლის სტრუქტურა მოიცავს პედაგოგიურ საბჭოს, სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას, მოსწავლეთა თვითმმართველობას დისციპლინურ და საფინანსო კომიტეტს, სააპელაციო კომიტეტს;

II. სკოლის ფილოსოფია:

სკოლის მისია:

1. უზრუნველყოს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი ;
2. პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის აქტიური ჩართულობით შექმნას უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებული გარემო;
3. ხელი შეუწყოს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, პასუხისმგებლობისა და მოქალაქეობრივი ცნობიერების განვითარებას მოსწავლეებში;
4. დანერგოს თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომები და ინდივიდუალურ;საჭიროებებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესი;
5. უზრუნველყოს პედაგოგთა მუდმივი განვითარების ხელშეწყობა;

6. მოსწავლეთა ჩართულობა სკოლის ცხოვრების ყველა ასპექტში;

სკოლის ხედვა

1. სწავლაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო სივრცის შექმნა;
2. ინოვაციური მიდგომებისა და თანამედროვე საგანმანათლებლო პრაქტიკების დანერგვა;
3. საზოგადოებასთან პარტნიორობაზე დაფუძნებული თანამშრომლობის განვითარება;
4. პედაგოგთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივი ზრუნვა;
5. განათლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესებისკენ სწრაფვა;
6. ტექნოლოგიების გააზრებული და მიზნობრივი გამოყენება სასწავლო პროცესში;
7. საგანმანათლებლო ინოვაციების მხარდაჭერა და დანერგვა;
8. თვითმყოფადი, პასუხისმგებლიანი და ეთიკურად მოაზროვნე მოქალაქის აღზრდა;
9. გლობალური გამოწვევების გააზრებისა და მათზე რეაგირების უნარების განვითარება მოსწავლეებში.
10. მოსწავლის ჰოლისტური განვითარება(აკადემიური, სოციალური, ემოციური და ეთიკური) უსაფრთხო, ინკლუზიურ ღირებულებებზე დაფუძნებულ გარემოში.

ძირითადი ღირებულებები

1. ადამიანის ღირსება და ეთიკური ჰუმანიზმი
2. თანასწორობა
3. ინკლუზია
4. აკადემიური კეთილსინდისიერება
5. გამჭვირვალობა
6. თანამშრომლობა და პარტნიორობა
7. ინოვაცია და უწყვეტი განვითარება

მისიისა და ხედვის განხორციელების პრინციპები

1. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება
2. ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება
3. უსაფრთხო და მხარდამჭერი სასკოლო გარემო
4. ოჯახისა და საზოგადოების ჩართულობა
5. ხარისხის მონიტორინგი და უწყვეტი გაუმჯობესება

III. საჯაროობა და გაზიარება

სკოლის მისია და ხედვა საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ვებგვერდზე, შიდა დოკუმენტაციაში და თვალსაჩინო ადგილებზე. მათი გაზიარება ხორციელდება მშობლებთან, მოსწავლეებთან და პერსონალთან შეხვედრებისა და საგანმანათლებლო აქტივობების ფარგლებში.

სკოლის მოკლე დახასიათება:

- სკოლის დასახელება: სსიპ-ქალაქ ბათუმის N5 საჯარო სკოლა;
- სკოლის სამართლებრივი ფორმა: სსიპ, საჯარო;

სკოლის მისამართი: ქ. ბათუმი, მიაკოვსკის ქ. N58; ელექტრონული ფოსტა-BATUMI5@MES.GOV.GE ვებ-გვერდი -5SCKOOL.EDU.GI; ფეისბუქგვერდი - <HTTPS://WWW.FACEBOOK.COM/PROFILE.PHP?ID=61571707226345> : საფოსტო ინდექსი -6010; ტელეფონი - 577 94 0194

- სკოლის დაარსების თარიღი: 1989;
- სკოლის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები: I, II, III საფეხური _ დაწყებითი, საბაზო, საშუალო;
- სკოლის ნომინალური სიმძლავრე: 860;
- სკოლის კონტიგენტის ოდენობა: 1249;
- სკოლის თანამშრომელთა რაოდენობა: 113;
- სკოლის ცვლების რაოდენობა: 2;
- სკოლის სექტორების ოდენობა: ქართული;
- სკოლის შენობის ფართი: 70575 კვ.მ. (საწყისის საბალანსო ღირებულება 5555329 ლარი, ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 405722 ლარი)
- სკოლის ტერიტორიის ფართი: 6039 კვ.მ.;
- მიწის (უძრავი ქონების საკადასტრო კოდი №05.29.43.041;
- სკოლის სეგმენტაცია: არასეგმენტირებული;
- სკოლის მდებარეობა: შუალედური;
- სკოლის საბაზრო პოზიცია: ლიდერი;

სკოლის კორპუსი აშენებულია 1991 წელს. შედგება ერთი ნაწილისაგან: სამსართულიანი და ორსართულიანი კორპუსებისაგან, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულია გადასასვლელი ხიდით.

მოსწავლეთა აღზრდისა და სწავლების სამსახურშია: კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა (34463 წიგნადი ფონდით, სააქტო დარბაზი (100 ადგილით), სცენით და გახმოვანების აპარატურით) ორი სპორტული დარბაზი (დარბაზს გააჩნია გასახდელეები), ფიზიკის, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიები, გეოგრაფიის, უცხო ენებისა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და კომპიუტერული კაბინეტები; ასევე კათედრების სამუშაო კაბინეტები, სამედიცინო პუნქტი და ბუფეტი.

სკოლაში არსებობს თანამედროვე ინვენტარი (ერთადგილიანი მოსწავლის მერხი, დაფები და სხვა) გამართულად მუშაობს ცენტრალური გათბობა ბუნებრივ აირზე, თანამედროვე ტიპის ერთი წყლისგამაცხელებელი ქვაბი უზრუნველყოფს საკლასო ოთახების და კაბინეტ-ლაბორატორიების გათბობას.

სკოლაში ისწავლება ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები. სკოლაში სწავლობს 1249 მოსწავლე. სკოლაში მუშაობს 113 თანამშრომელი, მათგან 88 მასწავლებელია.

IV სკოლის წარმატებებზე მოქმედი უმთავრესი ფაქტორები:

სსიპ ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლა საბაზრო ზონის სკოლაა და მასზე მოქმედი წარმატების უმთავრესი ფაქტორებია:

1. ეფექტური მენეჯმენტი /მენეჯმენტის სიმლიერე;
2. პერსონალის კვალიფიკაცია /ინტელექტუალური კაპიტალი;
3. მომსახურების ხარისხი /სწავლა–სწავლების დონე;
4. ხელსაყრელი ადგილმდებარეობა /მოხერხებული განლაგება;
5. ჯანსაღი კორპორაციული კულტურა /სამუშაო ატმოსფერო, ტრადიცია, საშემსრულებლო დისციპლინა/;
6. უსაფრთხოების დონე /უსაფრთხოების სისტემები და სხვა;
7. ინფრასტრუქტურა;
8. მოწინავე ტექნოლოგიების და ინოვაციების ფლობა;
9. იმიჯი /რეპუტაცია მომხმარებელთან;;
10. ვებგვერდი - SCKOOL.EDU.GI;

V სსიპ - ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის გარე გარემოს ანალიზი

სსიპ–ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის გარე გარემოს ანალიზი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. „ნიშნადი გარე გარემოს“ ანალიზი;
2. მოცემული საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი;
3. კონკურენტების ანალიზი და მათი პოზიციების შეფასება;
4. მომხმარებლის ქცევის ანალიზი;

§ 1. მოცემული საგანმანათლებლო ბაზრის ანალიზი

მოცემული ბაზრის ტევადობა: ქალაქის სასკოლო საგანმანათლებლო ბაზარი შეადგენს დაახლოებით 36901 მოსწავლეს .

სკოლის წილი: ამ ბაზარზე ჩვენი წილი შეადგენს 3%-ს. კონკურენციის ინტენსივობა: ამ ბაზარზე ფუნქციონირებს საჯარო და კერძო სკოლა.

კონკურენტების რაოდენობა: უშუალო კონკურენტების რაოდენობა შეადგენს ტერიტორიული პრინციპის მიხედვით 2 საჯარო და 1 კერძო სკოლა. მათი წილი ბაზარზე შეადგენს: №16 საჯარო სკოლა – 4%-ს; №17 საჯარო სკოლა – 1,5%-ს; შპს კავკასიის ბიზნეს 0,3%

ბაზრის ხასიათი: თუ შევაჯამებთ სკოლების ჯამობრივ საწარმოო პოტენციალს, აღმოჩნდება რომ ის აღემატება მოსწავლეთა ჯამურ კონტიგენტს, ე.ი. სახეზე გვაქვს „მყიდველის“ ბაზარი, როცა მომხმარებელი მნიშვნელოვნად ზემოქმედებს თამაშის წესებზე.

მომხმარებლის მომსახურების ფორმა: ძირითადად ერთგვაროვანია, ყველა ცდილობს ამ ბაზარზე საკუთარი ნიშის მოძებნას და განსხვავებული ნიშით იდენტიფიცირებას. ახალი კონკურენტები: ამ ეტაპზე არ იკვეთება;

§ 2 სკოლის კონკურენტების ანალიზი

ტერიტორიული სიახლოვის მიხედვით ჩვენი კონკურენტები არიან №16, საჯარო სკოლა და კერძო სკოლები: შპს “კავკასიის ბიზნესის სკოლა “ ამათგან №11, №16, №17 და კერძო-“კავკასიის ბიზნესის სკოლა “ ამათგან 1№6 სკოლა უნდა განვიხილოთ, როგორც ლიდერი, ისინი ბევრი პარამეტრით უსწრებენ ჩვენს სკოლას. მაგალითად: მოსწავლეთა რაოდენობით, მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებში და რესპუბლიკურ კონფერენციებში მონაწილე და გამარჯვებულ მოსწავლეთა რაოდენობით, სხვადასხვა კონკურსებში გამარჯვებულთა რაოდენობით, პირველკლასელთა შევსების სისწრაფით, და სხვა.

№17 საჯარო სკოლას და კავკასიის ბიზნეს სკოლა კონკურენტული ვერ იქნება, გარდა ერთი კომპონენტისა ეს არის მათი ქალაქთან უფრო ახლო მდებარეობა. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ მათგან მოსალოდნელია ინოვაციების დანერგვა, რომლებსაც შეუძლია ბაზარზე ცვილელებების მოხდენა. თუ შევადარებთ ამ სკოლების კორპორაციულ კულტურებს, აღმოჩნდება რომ მათ ვუსწრებთ სწავლის ხარისხის მხრივ და საკადრო პოტენციალით.

§ 4 მომხმარებლის ქცევის ანალიზი

მომხმარებლის ქცევის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ჩვენი ცნობადობა სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების შემდეგ გაიზარდა, მაგრამ ეს საკმარისი არ არის და სერიოზულ მუშაობას საჭიროებს. ზრდა აღინიშნება მომხმარებლის მიერ მომსახურების ხარისხისა და ტერიტორიული სიახლოვის გამო გადაწყვეტილების მიღების დროს.

ჩვენი სტრატეგია ამ მიმართულებით არის მარკეტინგული ინიციატივების განხორციელება და სხვა მოქმედებანი, რომლებიც აისახება მომხმარებლის ქცევაზე და მომხმარებელს მისცემს სკოლის სწორი იდენტიფიცირების საშუალებას. მარკეტინგული სტრატეგიის ვერსია:

#	სკოლის არჩევის გადაწყვეტილება	პროცენტული ოდენობა
1	ცნობადობის ფაქტორი	10%
2	პრესტიჟულობის ფაქტორი	4%
3	ტრადიციის ფაქტორი	8%
4	ტერიტორიული სიახლოვე	10%
5	სწავლების ხარისხი	24%
6	მასწავლებლის ფაქტორი	10%
7	დირექტორის ფაქტორი	10%
8	სამუშაო ატმოსფეროს ფაქტორი	10%
9	უსაფრთხოების ფაქტორი	11%
10	ურთიერთობის ფაქტორი	2%
11	და სხვა	1%

VI სკოლის შიდა გარემოს ანალიზი

არსებული სტრატეგიის ეფექტურობის შეფასება: სკოლის შიდა გარემოს ანალიზი აჩვენებს, რომ არსებული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც მოქმედებდა სკოლა გასული წლების განმავლობაში აღმცნდა ეფექტური. რისი დამადასტურებელიც არის სკოლის მოთხოვნადობის ზრდის ტემპი და მზარდი დინამიკის ფონდზე მყარი ფინანსური მდგომარეობა. ასევე გაიზარდა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი

§ 1 სკოლის მოთხოვნადობა

ჩვენი სკოლის მოთხოვნადობა შეადგენს:

- $1250:860=1,45$ (145%-ს)

რაც იმას ნიშნავს, რომ სკოლა მუშაობს პიკურ დატვირთვაზე.

სკოლის მოთხოვნადობის მაჩვენებელი /დატვირთულობის მიხედვით მოთხოვნადობის დინამიკა: მოთხოვნადობის დინამიკა აჩვენებს, რომ სკოლის სტრატეგიული მდგომარეობა მდგრადია და კონკურენტული პოზიციები მტკიცე

კონტიგენტის ცვლილების ტენდენცია

წელი	კონტიგენტი
2020 -2021	1290
2021- 2022	1264
2022-2023	1351
2023-2024	1309
2024-2025	1230
2025-2026	1249

პირველკლასელთა შევსების სიჩქარე

მოთხოვნადობის ინდექსი /შევსების სიჩქარია მიხედვით/

შევსების დრო	კატეგორიის კოეფიციენტი	ჯამური ქულა
საშუალო შევსება – 85–100%	2	3
ნელი შევსება – 80–100%	1	
კრიზისული შევსება –80% <	0	

§ 2 მენეჯმენტის ეფექტურობა

სკოლის მდგრადი ფინანსური და საბაზრო მდგომარეობა, კონტიგენტის მდგრადობა და ზოგჯერ ზრდა მენეჯმენტის ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს, მაგრამ მიღწეული ზღვარი არ არის, საჭიროა მუშაობა სწავლის ხარისხის განუხრელი ზრდის, მომხმარებელთა ახალი ნაკადის მოზიდვის მიმართულებით, თვითგანვითარების და კორპორაციული კულტურის ამაღლების მიზით.

მიმდინარეობს შენობის სრული რეაბილიტაცია და ვმუშაობთ ახალ შენობაში განახლებული სამუშაო გეგმების ამოქმედებისთვის.

მენეჯმენტის ეფექტურობი შეფასება:

პოზიცია	ქულა
1. სკოლის კონტიგენტის ზრდის დინამიკა და ამის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა	1
2. სწავლი შედეგების დინამიკა /პროგრესი, რეგრესი/	1
3. შრომის და სწავლის სტიმულირება, მოტივაციის სისტემის არსებობა სკოლაში	1
4. კონტროლინგის სისტემის არსებობა სკოლაში /უსაფრთხოების დონე/	1
5. შიდა საკანონმდებლო ბაზის ხარისხი	1
6. სეგმენტაციის ხარისხი, მოძებნილია თუ არა საკუთარი „ნიშა“	1
7. ტექნოლოგიებისა და ინოვაციების ფლობა	1
8. მიღწეულია თუ არა მასწავლებლების „პროფესიული თავისუფლება“ /გახსნილი ხელების პოლიტიკა?	1
9. შექმნილია თუ არა მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობა	1
10. შექმნილია თუ არა მენეჯერთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა	1
11. სკოლის იმიჯი და რეპუტაცია	1
12. ეფექტურია თუ არა არსებული სტრატეგიული განვითარების გეგმა	1
13. ფინანსური მდგომარეობის სიმყარე	1
14. მომხმარებელზე ორიენტაცია /მათი მოთხოვნების შესწავლა და დაკმაყოფილება/	1
15. ხელმძღვანელობის მიმზიდველი სტილი	1

მენეჯმენტის
შეფასების ჯამური
ქულა -15

გამართულად
მუშაობს
ცენტრალური
გათბობა ბუნებრივ
აირზე,
თანამედროვე
ტიპის ერთი

წყლისგამაცხელებელი ქვაბი უზრუნველყოფს საკლასო ოთახების და კაბინეტ-ლაბორატორიების გათბობას.

სკოლაში ისწავლება ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები. სკოლაში სწავლობს 1249 მოსწავლე. სკოლაში მუშაობს 113 თანამშრომელი, მათგან 88 მასწავლებელია.

§ 3 მასწავლებელთა კვალიფიკაცია

სკოლის წარმატება მენეჯმენტის სიმლიერის შემდეგ დამოკიდებულია მასწავლებელთა კვალიფიკაციაზე. ამ მხრივ ჩვენ კონკურენტულები ვართ. სკოლაში არ არის არც ერთი დაბალი კვალიფიკაციის პედაგოგი. პედაგოგთა ძალა ჩვენი მთავარი საბაზისო კომპეტენციაა. აბსოლუტური უმრავლესობა მაღალი კვალიფიკაციისაა და პრაქტიკული გამოცდილების მატარებელია.

მასწავლებელთა მუშაობის ეფექტურობის ამაღლების მიზნით, ჩვენი სტრატეგია ითვალისწინებს HR (ადამიანური რესურსები) მხარდაჭერას, დაფინანსების ზრდის კვალდაკვალ მოტივაციის მწყობრი სისტემის ამოქმედებას.

სკოლა სტრატეგიულ ამოცანად მიიჩნევს მასწავლებელთათვის აკადემიური თავისუფლების მინიჭებას, რომლის გაზომვის მექანიზმიც იქნება მომხმარებელი კმაყოფილების ხარისხი.

ჩვენი სტრატეგიაა მასწავლებელთა სახლთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა მივიღოთ რაც შეიძლება მეტი ახალგაზრდა, ნიჭიერი, მაძიებელი კადრი და შევექმნათ სამომავლო საკადრო რეზერვი. ასევე, ჩვენი სტრატეგია ითვალისწინებს უნივერსიტეტებთან თანამშრომლობას, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების მიმართულებით.

მასწავლებელთა შემადგენლობა ასაკის მიხედვით

მასწავლებელთა შემადგენლობა	რაოდენობა
<25	0
25–30	3
30–50	24
50–60	34
60–70	2
>70	6

მასწავლებელთა რაოდენობა კვალიფიკაციის მიხედვით

მასწავლებელთა კვალიფიკაცია	რაოდენობა
1. სერტიფიცირებულ მასწავლებელი	88
2. მაგისტრი	69
3. ბაკალავრი	13
4. პროფესორთა და დოქტორი	2
5. პროფესიული განათლება	5
6. უფროს მასწავლებელი	68
7. წამყვანი მასწავლებელი	19
8. მენტორ მასწავლებელი	1
9. პრაქტიკოსი	3
10. მაძიებელი	0

§ 4 მასწავლებელთა მოტივაცია და პროფესიული განვითარება

სკოლაში არსებობს მასწავლებელთა მოტივაციის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია მოსწავლეთა სწავლებასა და აღზრდაში მიღწეული წარმატებისთვის წახალისების ღონისძიებები. შექმნილია მატერიალური სტიმულირებისა და პრემიების განაწილების მექანიზმი. “სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის მართვის ჯგუფის” შემუშავებულია აქტიური: მასწავლებლის, კლასის დამრიგებლის, კათედრის ხელმძღვანელის, მოსწავლის გამოვლენის კრიტერიუმები.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარება ზრდის მასწავლებლის კვალიფიკაციას, მის, მზაობას ჩაატაროს უფრო საინტერესო, უფრო თანამედროვე გაკვეთილი. სკოლის მასწავლებლებისთვის ტარდება შიდა სასკოლო ტრენინგები. მოთხოვნადი მასწავლებელი არის სკოლის ყველაზე ძვირფასი აქტივი, ყველაზე ფასეული ინტელექტუალური კაპიტალი!

§ 5 სკოლის ადგილმდებარეობის ანალიზი. /სკოლის სიტუსი /

ჩვენის სკოლა არ მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში. ყველა პარამეტრის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით ის უახლოვდება კარგ განლაგებას.

1. სატრანსპორტო კომუნიკაციებთან სიახლოვე /ავტობუსი, სამარშრუტო ტაქსი/;
2. უსაფრთხოების დონე – „მწოლიარე პოლიციელები“–ის მოწყობამ ძალიან გაზარდა უსაფრთხოების მაჩვენებელი;
3. კომფორტული გარემო – სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე შესაძლებელია მანქანების პარკირება;
4. სკოლის მიმდებარე ტერიტორია – ეკოლოგიურად არასასურველი გარემოა ჰაერის დაბინძურების რისკს ზრდის ნავთობ- ტერმინალის არსებობა;
5. გეოგრაფიული ზონის სამომხმარებლო პოტენციალი – ზონის სამომხმარებლო პოტენციალი იზრდება მრავალსართულიანი განაშენიანების ხარჯზე;
6. კონკურენციის ინტენსივობა – სკოლის ადგილმდებარეობის სიახლოვეს, ჩვენს გეოგრაფიულ ზონაში ფუნქციონირებს რამდენიმე საჯარო და კერძო სკოლა. კონკურენციის მაღალი ინტენსივობა ადგილმდებარეობის ნაწილობრივ ნეგატიურ პარამეტრად უნდა ჩაითვალოს;

ჩვენი სტრატეგია ადგილმდებარეობასთან მიმართებით მდგომარეობს მომსახურების სეგმენტაციის და ხარისხის გაძლიერებაში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ადგილმდებარეობის ფაქტორის ნეგატიურ გავლენას.

§ 6 უსაფრთხოების დონე

ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია მოსწავლეთა და თანამშრომელთა დაცულობა და მათი ჯანმრთელობის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, სკოლამ შეინარჩუნა, ექიმი-ექთანის ინსტიტუტი. სკოლას აქვს კონტროლინგის ინსტიტუტი.

სკოლაში არსებობს უსაფრთხოების სისტემები, გათვალისწინებულია სახანძრო და ელექტროუსაფრთხოების მოთხოვნები, სკოლის ტერიტორია შემოსაზღვრულია.

სკოლას აქვს აერაციის სისტემა. სკოლის კარგი განათების უზრუნველსაყოფად თანამედროვე განათების სისტემის ხარჯზე. ამ პარამეტრებით ჩვენ კონკურენტებზე უკეთეს მდგომარეობაში ვართ.

სკოლის უსაფრთხოების სქემა

პოზიცია	პოზიციის კოეფიციენტი	ქულა	პოზიციის ქულა	ჯამური ქულა
1. ექთანი ინსტიტუტი	1	1	1	6
2. კონტროლინგის ინსტიტუტი	1	1	1	
3. უსაფრთხოების სისტემები	1	1	1	
4. სახანძრო და ელექტროუსაფრთხოება	1	1	1	
5. აერაციის სისტემები	1	0	0	
6. განათების სიტემები	1	1	1	
7. სკოლის შემოსაზღვრულობა	1	1	1	

§ 7 მომსახურების ხარისხი

გაწეული მომსახურების მიხედვით ჩვენ ასევე კონკურენტურანიანები ვართ. ჩვენი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ მოსწავლეთა რესპუბლიკურ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში საკმაოდ მაღალია უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხულ მოსწავლეთა პროცენტული მაჩვენებელი. ყველა პედაგოგი ცდილობს იყოს კეთილგანწყობილი საკუთარი მოსწავლეებისა და მშობლების მიმართ. “სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკისა და მართვის ჯგუფის “ მიერ შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და მშობელთა სკოლის მიერ გაწეული მომსახურებით კმაყოფილების კვლევის ფორმები. რომლებიც საშუალებას იძლევა წინარე გამოცდილება გამოვიყენოთ მიმდინარე სასწავლო პროცესში.

§ 8 სკოლის კორპორაციული კულტურა

სკოლას გააჩნია საკუთარი ტრადიცია, საკუთარი ფილოსოფია, საკუთარი მოქმედების პრინციპები. რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. სკოლა გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით და სოლიდარობის მაღალი გრძნობით.

სკოლის ყველა თანამშრომელს გათავისებული აქვს, რომ სკოლა საგანმანათლებლო ბაზრის სუბიექტია და თითოეული მათგანის წვლილი სკოლის წარმატებაში მნიშვნელოვანია.

სკოლის სტრატეგია ამ მიმართულებით კორპორაციული კულტურის კიდევ უფრო გამყარებას გულისხმობს.

§ 9 სკოლის ინფრასტრუქტურა, ტექნოლოგიები და ინოვაციები

სკოლის შენობა სრული რეაბილიტაციის პროცესშია. სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის მოსწავლის ერთადგილიანი მერხები და სკამები. კარგ მდგომარეობაშია სკოლის ავეჯი და ინვენტარი. სამუშაო ადგილების დიდი ნაწილი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიით. სკოლას აქვს ბიოლოგიის, ფიზიკის, ქიმიის ლაბორატორიები, 2 კომპიუტერული ლაბორატორია, ყველა კათედრას აქვს სამუშაო კაბინეტები, რომლებიც აღჭურვილია თავალაჩინობითა და დიდაქტიკური მასალებით. ყველა დერეფანი, შემოსავლელი ეზო აღჭურვილია ვიდეოკამერებით (53. ერთეული).

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა მდიდარი წიგნადი ფონდით, სამედიცინო კაბინეტი, ორი სპორტული დარბაზი, გარე სპორტული მოედანი, სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით

ჩვენ ტექნოლოგიური აღჭურვილობის მიზნით კონკურენტუნარიანები ვართ.

ჩვენი შემდგომი სტრატეგია იქნება სამინისტროსთან აქტიური თანამშრომლობა.

ინფრასტრუქტურის განვითარების სქემა

#	პოზიცია	პოზიციის ქულა	პოზიციის კოეფიციენტი	ჯამური ქულა
1	შენობის მდგომარეობა /. მიმდინარეობს რეაბილიტაცია/	მიმდინარეობს შენობის რეაბილიტაცია		
2	ტექნიკური აღჭურვილობის დონე/ავეჯი, ინვენტარი, თვალსაჩინოება, სპორტული ღია და დახურული მოედნები?			
3	ინფრასტრუქტურის სიმძლავრის პოტენციალი/ მცირე, საშუალო, დიდი?			

მაქსიმალური -----

სკოლის ტექნოლოგიების განვითარების სქემა

#	პოზიცია	პოზიციის ქულა	პოზიციის კოეფიციენტი	ჯამური ქულა
1	ინტერნეტი	1	1	5
2	კომპიუტერული კლასი	1	1	
3	საბუნებისმეტყველო (ბიოლოგიის ფიზიკის, ქიმიის)	1	1	
4	მომავლის კლასი	0	1	
5	ლინგაფონის ლაბორატორია	0	1	
6	რადიოფიცირება	0	1	
7	ტელეფიცირება	0	1	
8	კლასების ინტერნეტიზაცია	1	1	
9	კლასების კომპიუტერიზაცია	1	1	

მაქსიმალური ქულა --9

§ 10 რეკლამა და მარკეტინგი

მარკეტინგი ჩვენ ვცდილობთ შევქმნათ საკუთარი მომხმარებელი, მოვიძიოთ ისინი, შევისწავლოთ მათი მოთხოვნილებები და მიდრეკილებები. ამ მიზნით გასული 3 წლის განმავლობაში სკოლამ განახორციელა, არა ერთი სარეკლამო ღონისძიება მოსწავლეთა და მასწავლებელთა მონაწილეობით. ყოველივე ამან გამოიღო თავისი შედეგი და სხვა ფაქტორების გაუმჯობესებასთან ერთად სკოლამ გაზარდა საკუთარი კონტიგენტი 3%-ით. შემდგომი პერიოდისათვის ჩვენი სტრატეგია ითვალისწინებს უფრო დახვეწილ, უფრო ეფექტურ ინოვაციებს, რომელშიც ჩაერთვება მთელი სასკოლო საზოგადოება. ჩვენ აქტიურად გამოვიყენებთ სოციალურ ქსელებსაც.

#	პოზიცია	ჩატარებულია თუ არა
1	ნიშნადი გარემოს ანალიზი	კი
2	ბაზრის ანალიზი	კი
3	მომხმარებლის ანალიზი /პროფაილინგი	კი
4	მომსახურების წინსვლის დაგეგმვა და ანალიზი	კი

VII სკოლის SWOT ანალიზი

1. განსაზღვრავს იმ ძლიერ მხარეებს, რომლებიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას შეუწყობს ხელს;
2. განსაზღვრავს იმ სუსტ მხარეებს, რომლებიც უნდა გამოსწორდეს, რათა მისიაში მოცემულ მიზნებს მივაღწიოთ;
3. ადგენს იმ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე გამოუყენებელი დარჩა ან რისი

S (მლიერი მხარე)	W (სუსტი მხარე)
<ul style="list-style-type: none"> • შინაგანაწესი • პოზიტიური, წამახალისებელი • ინფრასტრუქტურა • საჭიროებათა კვლევაზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი • ინოვაციები/თანამედროვე ტექნოლოგიები/პროგრამები • დისციპლინა • გამორჩეული სასკოლო კულტურა • პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა • ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი • მონიტორინგის სისტემა • მართვა კრიზისულ სიტუაციაში • ადამინაური რესურსი 	<ul style="list-style-type: none"> • ცნობადობა • მშობელთა ჩართულობა • სსსმ მოსწავლეებისთვის სათანადო სასწავლო - სააღმზრდელო პროგრამა და ინფრასტრუქტურის არქონა; • მატერიალურ-ტექნიკური ბაზა • შემოქმედებითი ცხოვრება • დამხმარე პერსონალი • ეკონომიკური საქმიანობა • ფართი • მოსწავლეთა უახლოესი განვითარების ზონა
O (შესაძლებლობები)	T (საფრთხე)
<ul style="list-style-type: none"> • დევნილთა კომპაქტური ჩასახლება • ჩინური კვარტალის მშენებლობა • უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა • უნივერსიტეტში მიღების წესის შეცვლა • კანონმდებლობა • სოციალური პროგრამები 	<ul style="list-style-type: none"> • ახალი კერძო სკოლის გახსნა • სკოლასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურის მოშლა • კატასტროფების მაღალი რისკი • კანონმდებლობა • მდებარეობა • დემოგრაფია • არაპროგნოზირებად გარემოში საქმიანობა • გლობალიზაციასთან დაკავშირებული გამოწვევები

VIII სკოლის სტრატეგიის ფორმირება

სკოლის სტრატეგია შედგება სხვადასხვა მიმართულების დეტალიზირებული სტრატეგიათა ერთობლიობისაგან.

- მენეჯმენტის სტრატეგიები

მენეჯმენტი არის ბიზნეს-ორგანიზაციული მოქმედება, საქმიანობა. მარტივი სიტყვებით ის ნიშნავს: მოქმედება, რომ შეკრიბო ხალხი ერთად სასურველი მიზნების შესასრულებლად.

მენეჯმენტის მთავარი ოთხი ფუნქციაა:

1. სწორი დაგეგმვა

სწორად დაგეგმვა, განსაზღვრავს თუ რამდენად პროგრესირებადი იქნება სკოლა წინასწარ განსაზღვრული დროის შემდეგ. დაგეგმვაში ჩვენ ვგულისხმობთ მომავალში სკოლის ფუნქციონირების, მიზნების, შედეგების და ამ მიზნების შესრულებისთვის საჭირო რესურსების განსაზღვრას.

2. ორგანიზება.

ორგანიზება, ანუ გეგმის შესრულებისათვის მეთოდებისა და აქტივობების გამოყენება, გულისხმობს მიზნების დასახვასა და მათი მიღწევისთვის საჭირო ამოცანების სწორად განსაზღვრას.

3. ლიდერობა.

ლიდერობაში ვგულისხმობთ მენეჯმენტის გავლენის გამოყენებას თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდისათვის, სკოლის მიზნების მისაღწევად. ყველა თანამშრომელი აღიარებს სკოლის მიზნებს, ფასეულობებს და კულტურას, ცდილობს ერთობლივი მუშაობითა და თანამშრომლობით მიაღწიოს შედეგს.

4. კონტროლი.

აქ ვგულისხმობთ თანამშრომელთა და სასწავლო პროცესის მუდმივ მონიტორინგს. კოლეგათა მხარდაჭერისა და საჭიროების შემთხვევაში, პრევენციული/რემედიაციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

თანამედროვე ეკონომიკური აზროვნების (განათლების სფეროში) დამახასიათებელი თავისებურებაა ყურადღების გამახვილება რაციონალური გაძღოლის უზრუნველყოფის მიმართულებით სკოლის დონეზე რესურსების შეზღუდულობის პირობებში. საქმე ის არის, რომ საჭირო ხდება მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევა მინიმალური დანახარჯებით, სკოლის განვითარების უზრუნველყოფა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლესი მიღწევებითაა შესაძლებელი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, მასწავლებელთა და სხვ თანამშრომელთა დაინტერესება სკოლის მიზნების შესასრულებლად. ყოველივე ეს სკოლისაგან მოითხოვს ადაპტირებას ახალ საბაზრო პირობებთან, უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება მართვის ეფექტურ სისტემას.

სწავლა-სწავლების სტრატეგია

სწავლა-სწავლების მიმართულებით ჩვენ შემდეგ სტრატეგიებზე გავამახვილებთ ყურადღებას:

1. სტრატეგია სწავლების სამფაზიანი მოდელი.

ა) მოლოდინების განსაზღვრა გამოწვევა (სასწავლო მიზნებისა და მოლოდინების განსაზღვრა შინაარსთან დაკავშირებული წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურება, წინარე ცოდნის არაფორმალური შეფასება, არასწორი წარმოდგენების გამოკვეთა, პოზიტიური განწყობის შექმნა, ყურადღების კონცენტრირება, ინტერესისა და სწავლის მოტივაციის გაღვივება);

ბ) ცოდნის კონსტრუირება შინაარსის რეალიზება (სასწავლო მასალის გაცნობა, ინფორმაციის მოძიება-დამუშავება, ახალი ცოდნის კონსტრუირება, ძირითადი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოკვეთა, გაკვეთილისადმი პიროვნული კავშირების გამოკვეთა, შეკითხვების დასმა, მოლოდინების გადახედვა და რეალურ პროცესთან შედარება);

გ) გამთლიანება რეფლექსია (ძირითადი იდეების შეჯამება, ჩამოყალიბებული შეხედულებების გაზიარება, მიღებული ცოდნისა და სარგებლიანობის განსაზღვრა, ცოდნის გაღრმავებისათვის საჭირო ახალი შეკითხვების ჩამოყალიბება, სასწავლო პროცესში საკუთარი მონაწილეობის შეფასება);

2. სწავლა-სწავლების სტრატეგია ისტის გამოყენებით;

3. გაკვეთილის დაგეგმვის პროცესი მოსწავლეთა დიფერენცირებული სწავლების მიზნით ინდივიდუალურ საჭიროებების გათვალისწინებით.

4. თვითშეფასება მექანიზმების გამოყენება.

ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია

- სკოლა იზრუნებს პედაგოგიური კვალიფიკაციის ზრდაზე;
- კვალიფიციური კადრების მოზიდვა – ვაკანტური ადგილების კონკურსის წესით შევსება;
- პროფესიული განვითარებისათვის ბიუჯეტში ყოველწლიურად თანხების გათვალისწინება.
- მასწავლებლის პროფესიული განვითარების შეასაფხვებლად გამოიყენება მასწავლებლის პორტფოლიოს.
- პორტფოლიო შემდეგ დოკუმენტებს უნდა მოიცავდეს:
 - ა) პირადი ინფორმაცია;
 - ბ) სასწავლო პროგრამების, სამუშაო გეგმების, გაკვეთილების პროექტების, კვლევების, დაგეგმვის და შესრულების ამსახველი დოკუმენტები;
 - გ) პროფესიული განვითარების ამსახველი დოკუმენტები,;
 - დ) მოსწავლეთა წარმატებების და მშობლებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები;
 - ე) დამხმარე ლიტერატურის განყოფილება (ბავშვთა უფლებათა კონვენცია; მასწავლებლის ეთიკის კოდექსი; მოსწავლის ეთიკის კოდექსი და სხვა).

მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის სტრატეგია

სკოლის შენობა, ეზო, საკლასო ოთახები, დამხმარე ფართი, ლაბორატორიები, სპორტული დარბაზები, მიმდინრე სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ქონების დატვირთვა/იჯარა, (შემდგომში) კომუნალური საკითხები, სასწავლო-სამუშაო გარემო.

- საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის დახვეწა და განვითარება;
- სკოლის კომპიუტერიზაციის სრულყოფა;
- სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერიზაცია;
- კომპიუტერული კაბინეტების განვითარება;
- ახალი თანამედროვე ტექნოლოგიური რესურსების დანერგვა სკოლის მასწავლებელთათვის;
- სკოლის ვებგვერდის შექმნა და პერიოდული განახლება;
- სკოლის გვერდი **FACEBOOK** -ზე განთავსებულია;

დაეხმარება მას პროფესიული კომპეტენციის გაზრდაში და კრედიტების დაგროვებაში. პორტფოლიო შემდეგ დოკუმენტებს უნდა მოიცავდეს:

1. პირადი ინფორმაცია;
2. სასწავლო პროგრამების, სამუშაო გეგმების, გაკვეთილების პროექტების, კვლევების, დაგეგმვის და შესრულების ამსახველი დოკუმენტები;
3. პროფესიული განვითარების ამსახველი დოკუმენტები;
4. მოსწავლეთა წარმატებების და მშობლებთან ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები;
5. ფინანსური გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამსახველი დოკუმენტები;

სკოლისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სახელმწიფო დაფინანსების ზემოთ დამატებითი ფინანსური წყაროების მოძიება. ეს აუცილებელია სკოლის განვითარების რეჟიმში სამუშაოდ, აგრეთვე, იმ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომელთა დაფინანსება არ არის გათვალისწინებული სახელმწიფო ვაუჩერით.

სკოლამ დამატებითი ფინანსური სახსრები უნდა მოიძიოს მშობელთა ნებაყოფილობითი შემოწირულობით (უზრუნველყოფილი შეიძლება იყოს სათანადოდ დასაბუთებული პროგრამული თუ საპროექტო შეთავაზებებით), სხვადასხვა გრანტის მოპოვებით, შესაბამის ფონდებსა და ორგანიზაციებში აქტუალური პროექტების წარდგენით (გარდა ადმინისტრაციისა და სამეურვეო საბჭოს ძალისხმევით, ამისათვის აუცილებელია ტრენინგების ჩატარება სკოლის პედაგოგებისათვის პროექტების მომზადებაში დახელოვნებისათვის), მეხუთე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების დახმარებით, სკოლის ადმინისტრაციისა და პედაგოგების მიერ მომზადებული საგანმანათლებლო რესურსების (სატრენინგო პროგრამები, პროფესიული ჟურნალები, თვალსაჩინოებები, სემინარები და სხვა) რეალიზებით, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ნამუშევრებისა თუ ნაკეთობების რეალიზებით, ეკონომიკური საქმიანობით.

საბიუჯეტო კალენდარი

თარიღი	ამოცანა	პასუხისმგებელი პირი
01 ნოემბერი	მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ სკოლის თანამშრომელთა რეკომენდაციების განხილვა	სამეურვეო საბჭო დირექტორი სკოლის შიდა მხარდაჭერის პოლიტიკისა და მართვის ჯგუფი
05 ნოემბერი	შემოსავლებისა და ხარჯების პროგნოზირება	დირექტორი ბუღალტერი
07 ნოემბერი	სკოლის დირექტორის კონსულტაცია თანამშრომლებთან	დირექტორი ბუღალტერი
10 ნოემბერი	ბიუჯეტის ფინანსური გადასინჯვა	დირექტორი ბუღალტერი
12 ნოემბერი	ბიუჯეტის პროექტის სამეურვეო საბჭოში წარდგენა	დირექტორი
13 ნოემბერი	საჯარო მოსმენა	სამეურვეო საბჭო
17 ნოემბერი	ბიუჯეტის საბოლოო მოსმენა და დამტკიცება	სამეურვეო საბჭო

კორპორაციული კულტურისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია

კორპორაციული კულტურა განისაზღვრება, როგორც ბაზური ფასეულობების ნაკრები, შეთანხმებების და ნორმების ერთობლიობა, რომელსაც იზიარებს სკოლის ყველა წევრი. კორპორაციული კულტურა–ზოგადი ფასეულობების სისტემა და წარმოდგენა იმის შესახებ თუ რა და როგორ კეთდება სკოლაში, ამა თუ იმ, გარეშე და შიდა პრობლემები წარმოქმნის დროს. ჩვენ გამოვყოფთ კორპორაციული კულტურის დონეებს:

- ა) ხილული დონე, რომელიც გულისხმობს ჩაცმის მანერას, ქცევის წესებს, ფიზიკური სიმბოლოებს, ორგანიზაციულ ცერემონიებს;
- ბ) უხილავი დონე, რომელიც გამოიხატება თანამშრომლების სიტყვებში და საქმეებში, ზოგად ფასეულობებში და ღრმა რწმენაში.

ჩვენი სტრატეგია ამ მიმართულებით მდგომარეობს იმაში, რომ კორპორაციული კულტურის ფორმირება და მასზე ზემოქმედება წარმოადგენს სკოლის ხელმძღვანელობის ერთ–ერთ ძირითად ამოცანას, რადგან ის არის სკოლის მუშაობის შედეგების განმსაზღვრელი. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ იმას, რომ სკოლის ყველა წევრი ცდილობდეს მკაფიოდ გაიაზროს თავისი სკოლის მიზნები და მიისწრაფოდეს მისი მიღწევისთვის

XII. სკოლის სამომავლო საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიმოხილვა

1. გაუმჯობესდეს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. გაიზარდოს საგნობრივ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში მონაწილე მოსწავლეთა რაოდენობა. გატარდეს სათანადო ღონისძიებები მოსწავლეთა მიერ ქვეყნის კოდექსისა და მართლწესრიგის უხეში დარღვევის შემთხვევების შემცირების მიზნით. ხელი შევუწყობთ მოსწავლეთა მოტივაციას; კლასგარეშე სასწავლო მუშაობის გააქტიურებას. STEM -მეთოდის დანერგვა სასწავლო საზოგადოებასი (2026-2027)
2. ვიზრუნებთ მოსწავლეთა ესთეტიკური განვითარების დონის ამაღლებაზე. ამ მიზნით შეიქმნება ქორეოგრაფიული და ფოლკლორული ანსამბლები.
3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სპორტულ/ ფიზიკურ აღზრდას. ამ მიზნით საჭირო იქნება ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლა, ამაში მშობლებისა და საზოგადოების წარმომადგენლების აქტიურად ჩაბმა.
4. სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის აუცილებელია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივი განახლება-გაუმჯობესება, რისთვისაც მოხდება კათედრების ხელმძღვანელების რეკომენდაციებით სწავლებისათვის აუცილებელი საშუალებების შერჩევა და შეძენა. სასწავლო კაბინეტებში, საკლასო ოთახებში არსებული ინვენტარის ექსპლუატაციისათვის ვარგისიანობის შენარჩუნება.

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების პროცესში მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა. მოსწავლეები მცირე ასაკში ძირითადად სამი წყაროსაგან იღებენ განათლებას: სკოლა, ოჯახი, საზოგადოება. თუმცა ადრეულ ასაკში ყველაზე დიდ გავლენას მოსწავლის განვითარებაზე ოჯახი და სკოლა ახდენს. ჩვენ შევეცდებით და მივალწევთ იმას, რომ მოსწავლის განვითარებაში სკოლასთან ერთად ოჯახიც იყოს ჩართული, თანაც ისე, რომ ორივე აცნობიერებდეს თავის როლსა და მნიშვნელობას.

აქედან გამომდინარე ჩვენ ვირჩევთ პრიორიტეტებს:

1. თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო სააღმზრდელო პროცესების, სამუშაო გარემოს ორგანიზება და ინოვაციური მუშაობით:
 - საგნების მიხედვით, სასკოლო-სასწავლო გეგმების პერმანენტულად სრულყოფა და სწორი ფორმით რეალიზება;
 - საგნობრივ დისციპლინათა დაახლოება – ინტეგრაცია. ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება;
 - სასწავლეთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის განვითარება (საკლასო ოთახების ჩართვა ერთიან სასკოლო-საკომუნიკაციო ქსელში);
 - გაცდენების შემცირების მექანიზმი;
 - სკოლის საგანმანათლებლო ხაზით ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემის განვითარება;
 - მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებისათვის ხელის შეწყობა. ამ მიზნით ახალი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება;

- სწავლებაში ახალი მეთოდების დანერგვისათვის ხელის შეწყობა, ინტეგრირებული გაკვეთილების ჩატარება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით;
- როგორც მოსწავლეთა, ასევე მასწავლებელთა მიერ სამეცნიერო თუ პოპულარულ თემებზე შექმნილი ნაწარმოებების წარმოჩენა. (მათი განთავსება სკოლის ვებ-გვერდზე. ხელის შეწყობა პრესაში, ტელევიზიითა თუ რადიოთი).

2. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა

- სკოლის კეთილმოწყობა, არსებული მდგომარეობის შენარჩუნება და განვითარება;
- საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- სპორტული ინვენტარის (მაგიდის ჩოგბურთი, სხვადასხვა ზომის ბურთები, ბადმინტონი, სპორტული ლეიბების) შეძენა;
- სკოლაში კათედრების მიხედვით კაბინეტების მოწყობა;
- სასკოლო ბიბლიოთეკის სასწავლო მასალით უზრუნველყოფა;
- ბიბლიოთეკის ახალი გრიფინიჭებული სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- ბიბლიოთეკის კომპიუტერებით და ინტერნეტქსელის უზრუნველყოფა;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გაზრდა;
- სკოლის პედაგოგებისათვის საჭირო დამხმარე ლიტერატურის და მეთოდური მასალების სისტემატური შეძენა;
- შეცნებითი შიდასასკოლო ოლიმპიადებისა და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების ჩატარება ყოველწლიურად;
- სამედიცინო კაბინეტის კეთილმოწყობა;
- კვების ბლოკი.

3. სკოლაში არსებული ადამიანური და პროფესიული რესურსების შესაბამისობა სკოლის მიზნებთან:

- სწავლებისა და აღზრდის მასტიმულირებელი ბერკეტების მოძიება და გამოყენება;
- სკოლის თვითშეფასების მექანიზმები;
- სკოლის ავტორიზაცია;
- მოტივაციის გაზრდა და წახალისების მექანიზმები;

- მშობელთა ჩართულობა–მშობლებსა და სკოლას შორის თანამშრომლობის გააქტიურება (ორმხრივი კომუნიკაცია).
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარება (ტრენინგები და სემინარებია);

4. ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა:

- სკოლის ფიზიკური გარემოს გაუმჯობესება: პანდუსები, სველი წერტილები, სპორტული დარბაზის აღჭურვა შესაბამისი ინვენტარით;
- ფიზიკური და შემოქმედებითი ტიპის ღონისძიებების ჩატარება;
- მასწავლებელთა გადამზადება (შიდა ტრენინგები);
- შემაჯამებელი გამოფენების მოწყობა.

5. სასკოლო სასწავლო გეგმის ორიენტირება:

- ორიენტირება თითოეულ მოსწავლეზე;
- მასწავლებლის პროფესიონალიზმზე;
- სასწავლო პროცესის ერთიანობაზე;
- რესურსების ეფექტურ გამოყენებაზე;
- ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში აღწერილ იდეალებზე და სკოლის ფასეულებებზე;
- სწავლების მეთოდოლოგიის მრავალფეროვნებაზე;
- შედეგებზე და შედეგების დემონსტრირებაზე.

6. სკოლის ფინანსური მართვა და კონტროლი:

- სკოლის ფინსური რესურსების რაციონალური ხარჯვის მონიტორინგი;
- დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა;
- შემოსავლებისა და ხარჯების სრული გამჭვირვალობა;
- სკოლის ბიუჯეტი.

7. სკოლის კომპიუტერიზაცია

- სასწავლო პროცესის მართვის კომპიუტერიზაცია;
- ფინანსური მართვის კომპიუტერიზაცია;
- სკოლის საკანცელარი საქმის კომპიუტერიზაცია.

8. მშობელთა ჩართულობა და სკოლის პარტნიორული ურთიერთობები

- კლასის დამრიგებლების პერმანენტული ურთიერთობა მშობლებთან;
- სასკოლო აქტივობებში მშობლების ჩართვა;
- მშობლების მხრიდან კლასებში მრჩეველთა საბჭოების შექმნა;
- ყოველი სასწავლო წლის დამდეგისთვის ახლად ჩარიცხული პირველკლასელების მშობლებთან დირექციის შეხვედრების ორგანიზება;
- ღია საჩვენებელი გაკვეთილების ჩატარება (გეგმიური) მშობლებისთვის.
- სემინარები მშობლისთვის - როგორ ჩაერთო შვილის განათლებაში;
- მშობელთა სემინარი კონკრეტულ საგნობრივ ჯგუფში - როგორ დაეხმარონ მოსწავლეებს;
- მოხალისეობის პროგრამა (მაგ. მშობელთა მორიგეობა);
- კომუნიკაციის მეთოდების შემუშავება, რომლებიც მორგებული იქნება მშობელზე (დარეკვა, იმეილი, მესიჯი, შეხვედრა);

- კონფერენციები, სადაც მოსწავლეები წარადგენენ საკუთარ ნამუშევრებს, მიღწევებს მშობლების წინაშე;
- მშობლებთან შეხვედრების გამართვა სხვადასხვა დროს: გაკვეთილების შემდეგ, გაკვეთილების დაწყებამდე, სამუშაო საათების დამთავრების შემდეგ;
- დირექტორის შეხვედრა მშობლებთან;
- მშობლებთან ერთად სხვადასხვა გადაწყვეტილებების განხილვა (რეგულაციები, წესები, შეფასების სისტემა, დავალებების ტიპები);
- მოსწავლის შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება.
- პარტნიორობა სხვადასხვა ორგანიზაციებთან;
- მეზობლ სკოლებთან;
- თემთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან;
- მონაწილეობა პროექტებსა და კონკურსებში.

9. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნით “სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკას და მართვის ჯგუფის” შექმნა. რომელსაც დაევალება:

- კათედრების ინფორმირება;
- ტრენინგების დაგეგმვა;
- საჭირო დოკუმენტაციის შედგენა;
- გაკვეთილზე დასწრების სქემის მომზადება;
- ახალი მეთოდების ეფექტურობის კვლევა;
- წარმატებული პროექტების გამოვლენა;
- წარმატებულ მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოვლენის მექანიზმების შემუშავება;

სსიპ-ქალაქ ბათუმის №5 საჯარო სკოლის 2025-2033 წლების სტრატეგიული გეგმა

ამოცანა	პასუხისმგებელი პირი	2025 - 2026	2026- 2027	2027- 2028	2022- 2029	2029- 2030	2030- 2031	2031- 2032	შესრულების ინდიკატორი	შეფასების შედეგი
სტრატეგიული მიზანი N1 - ინსტიტუციური განვითარება										
1.1.	სკოლის საქმიანობის მომწესრიგებელი რეგულაციების გადახედვა- განვითარება, ავტორიზაციის ახალ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	დირექტორი, დირექტორის მოადგილე ბუღალტერი, სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;							შექმნილია/განახლებულია ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისი სასკოლო საქმიანობის მომწესრიგებელი დოკუმენტაცია	
1.2.	მოსწავლეთათვის მართველობის შექმნა და მისი ფუნქციონირება შექმნა და მისი ფუნქციონირება	დამრიგებლები							სკოლაში მოსწავლეთათვის მართველობა; სკოლის სტრუქტურაში სტრუქტურაში განსაზღვრულია მოსწავლეთა	

										თვითმმართველობა, შექმნილია მისი დებულება, თვითმმართველობა ფუნქციონირებს	
სტრატეგიული მიზანი №2. სასწავლო პროცესის დაგეგმვა/განხორციელება/შეფასება/განვითარება											
2.1.	სასწავლო პროცესის ორგანიზება- დაგეგმვა: სასკოლო სასწავლო გეგმის ფორმირება, საგაკვეთილო ცხრილის შედგენა	დირექტორი, დირექტორის მოადგილეები								ყოველწლიურად დგება სასკოლო სასწავლო გეგმები, საგაკვეთილო ცხრილები	
2.2.	ახალი მოთხოვნების შესაბამისად, ახალი საგნობრივი კურიკულუმების შედგენა/განვითარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილეები საგნობრივი კათედრის წევრები- მასწავლებლები								ახალი მოთხოვნების შესაბამისად შედგენილია საგნობრივი კურიკულუმები კათედრების მიხედვით სვოტ ანალიზი, რემედიაციული გეგმა	

2.3.	მოსწავლეების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით ადა წრეების ორგანიზება	მოადგილეები. კათედრები სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი; სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;							გაუთვალისწინებელი დამატებითი მომსახურების გაწევა მოსწავლეთათვის, შექმნილია წრეები და კლუბები;	
2.4.	სასწავლო რესურსების შექმნა/განვითარება	დირექტორის სხვადასხვა საგნის მასწავლებლები							შექმნილია სასწავლო რესურსები სხვადასხვა საგანში	
2.5.	სკოლაში ხარისხის შეფასების ახალი სისტემის დანერგვა/განხორციელება/განვითარება	დირექტორი, დირექტორის მოადგილეები, სხვადასხვა საგნის მასწავლებლები, სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;							სკოლაში დაინერგა ხარისხის შეფასების ახალი სისტემა, შეიქმნა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, განისაზღვრა ხარისხის უზრუნველყოფაზე სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი; სკოლაში პროცესი ხარისხის უზრუნველყოფის	

										მექანიზმების მიხედვით მიმდინარეობს	
სტრატეგიული მიზანი №3. სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება											
3.1.	სკოლის შენობის მოდერნიზება/ინფრასტრუქტურის განვითარება	დირექტორი, ბუღალტერი, მტუკი								სკოლის შენობის სამსართულიანი კორპუსი კეთილმოწყობილი ა, მასში ფუნქციონირებს სპორტული დარბაზები, სააქტო დარბაზი	
3.2.	სკოლის ეზოსა და სასწავლო სივრცის განახლება	დირექტორი მტუკი								სკოლის ეზოში სპორტული აქტივობებისთვის კეთილმოწყობილი ა სპორტული მოედანი სკოლის შენობა მიმდინარეობს სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები.	

3.3.	საგანმანათლებლო რესურსების განვითარება/გაუმჯობესება	დირექტორი, ბიბლიოთეკარი, მტუკი, ბუღალტერი სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;								ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი ყოველწლიურად განახლებულია, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული	
3.4.	ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება	დირექტორი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი								სკოლა ჩართულია საქმისმწარმოების ელექტრონულ სისტემაში; სკოლის აქვს ვებ.გვერდი.	
სტრატეგიული მიზანი №4. ადამიანური რესურსის მართვა											

4.1.	ახალი კადრების მოძიება	დირექტორი, საქმისმწარმოებელი, დირექტორის მოადგილე.								საჭიროების შემთხვევაში.	
4.2.	სკოლაში თანამშრომელთა შეფასების სისტემის დანერგვა/განხორციელება	დირექტორის მოადგილეები, სკოლის შიდა ხარისხის								სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შეფასების კრიტერიუმები და გაზომვადი	

		პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;								ინდიკატორები: კითხვარები SWOT -ანალიზი რეფლექსია	
4.4.	სკოლის ექიმის საშტატო განრიგში განსაზღვრა, ვაკანსიის გამოცხადება.	დირექტორი, ბუღალტერი, საინფორმაციო									
4.3.	სკოლის თანამშრომელთა ჩართვა შესაბამის სასწავლო კურსებში, ტრენინგებში	დირექტორის მოადგილეები, სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;								შესაბამისი დამადასტურებელი მასალები;	

სტრატეგიული მიზანი №5. შიდა და გარე კომუნიკაციის გაძლიერება											
5.,1	საქართველოში მოქმედ მუზეუმებთან, მწერალთა სახლთან და სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობა-მათ საგანმანათლებლო პროგრამებში მოსწავლეთა მონაწილეობა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობა;	დირექტორი, დირექტორის მოადგილეები; საგნობრივი კათედრები, დამრიგებლები								სკოლის მოსწავლეები, სხვადასხვა საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, სტუმრობენ საქართველოში მოქმედ მუზეუმებს, მწერალთა სახლს და	

		სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;								სხვა საგანმანათლებლო და კულტურულ ინსტიტუციებს, მონაწილეობენ მათ საგანმანათლებლო პროგრამებში	
5.2	მოსწავლეთა პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის სისტემის დამკვიდრება სკოლაში: მშობლის დღის	დირექტორი, დირექტორის მოადგილეები								სკოლაში სასწავლო წლების განმავლობაში	
	დაწესება, კურსდამთავრებულთა ვიზიტები სკოლაში, სხვა წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრა, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პროგრამების გაცნობა	საინფორმაციო მენეჯერი სკოლის შიდა ხარისხის პოლიტიკის და მართვის ჯგუფი;								გაიმართა მინიმუმ 2-3 შეხვედრა წარმატებულ მშობლებთან და კურსდამთავრებულ ბთან, მოსწავლეები სტუმრობდნენ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს პედაგოგთა შემოქმედებითი საღამოები	
სტრატეგიული მიზანი N6 - სკოლის ციფრული განვითარება.											

ეს გეგმა მოიცავს 2025-2032 წწ ღონისძიებებს. განხორციელების გეგმა საკმაოდ მოქნილია, რაც იძლევა მასში ცვლილებების შეტანის საშუალებას ვითარების შეცვლისა და იმ პრობლემების წარმოქმნის შემთხვევაში, რომელიც დააბრკოლებს სტრატეგიის განხორციელებას. რეკომენდირებულია მისი შეფასება წელიწადში ერთხელ (განსაკუთრებით 2025 წლიდან) და მასში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

სტრატეგიის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება სტრატეგიის მონიტორინგისა და შეფასების ინსტიტუციონალური საფუძვლები ითვალისწინებს შემდეგ დაინტერესებულ მხარეებს:

სკოლის ადმინისტრაცია, რომელიც მეთვალყურეობას გაუწევს სტრატეგიის განხორციელებას, მონიტორინგს და შეფასების პროცესს, ასევე გააანალიზებს მიღწეულ შედეგებს და არსებულ პრობლემებს, შეიმუშავებს ბარიერების გადალახვის გზებს და უზრუნველყოფს სტრატეგიის განხორციელებას გეგმის მიხედვით;

სამოქალაქო საზოგადოებას, პარტნიორებს, რომლებიც დამოუკიდებლად განხორციელებენ სტრატეგიის დანერგვის პროცესის მონიტორინგს, ასევე შემოგვთავაზებენ პროცესის გაუმჯობესებისაკენ მიმართულ სხვადასხვა წინადადებებს.

განხორციელება მონიტორინგის შემდეგი ღონისძიებები:

1. წლიური მონიტორინგი და ანგარიშგება, რომელიც ითვალისწინებს დეტალურ ანგარიშგებას ერთწლიანი პერიოდისათვის;
2. ნახევარწლიური მონიტორინგი და შედეგების შესახებ ანგარიშგება;
3. საბოლოო მონიტორინგი და ანგარიშგება სტრატეგიით გათვალისწინებული ამოცანების შესრულების შესახებ სტრატეგიის განხორციელების მთლიან პერიოდში;
4. ჩამოყალიბდება მონიტორინგისა და შეფასების თანმიმდევრული ერთიანი სისტემა, მონიტორინგისათვის გამოყენებული იქნება სკოლის მიერ შესაბამისი ინდიკატორების საფუძველზე შეგროვილი მონაცემები;
5. მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშები საჯარო იქნება და განთავსდება სკოლის ვებგვერდზე. სკოლი ადმინისტრაცია სხვადასხვა საშუალებების მეშვეობით და თავისი ვებგვერდის გამოყენებით საზოგადოებას მიაწვდის ინფორმაციას მიღწეული პროგრესის შესახებ;